2024

ღონისძიების შესახებ

• უკვე მეექვსე წელია, რაც საქართველოში სათავგადასავლო რალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს უყრის თავს და ჩვენი ქვეყნის მთაგორიან ლანდშაფტზე სამოგზაუროდ იწვევს.

• ეს არის რბოლა უგზოობაზე სიჩქარის გარეშე, რუქებისა და ნავიგაციის სისტემის გამოყენებით მონაწილეებმა უნდა იპოვონ საკონტროლო პუნქტები რაც შეიძლება მცირე დისტანციის გავლით .

• სათავგადასავლო რალი მოივლის დაახლოებით 1600 კილომეტრს საქართველოს ტერიტორიაზე ერთი კვირის განმავლობაში.

• წელს რალიში მონაწილეობენ სამი კატეგორიის ეკიპაჟები : ქალთა, შერეული და კაცთა. როგორც მოყვარულები, ასევე პროფესიონალები.

• სათავგადასავლო რალი საქართველო 2024 სტარტს ტრადიციულად თბილისში აიღებს, შაბათს 5 ოქტომბერს და 7 დღიანი შეჯიბრების შემდეგ დაფინიშდება ბათუმში.

• ამა წლის სათავგადასავლო რალი თავს მოუყრის 50-ამდე ავტომობილს და 100-ზე მეტ ადამიანს, მათ შორის არა მხოლოდ მონაწილეებს, არამედ რალის საორგანიზაციო გუნდის წევრებს, უსაფრთხოების კომისარებს, მსაჯებს, ფოტოგრაფებს, ვიდეოგრაფებს, ექიმებს, მექანიკოსებს, ა.შ.

• როგორც ყოველ წელს, წლევანდელ ღონისძიებასაც ექნება ჰუმანიტარული მისია, რალის ეკიპაჟები რბოლისას თან წაიღებენ დახმარებებს / საჩუქრებს და სხვადასხვა რეგიონებში დაურიგებენ შემწეობას მოკლებულ 60 ოჯახს.

ორგანიზატორები:

✳ გიგა მურღულია

დინამიური და ინოვაციური პიროვნება, რომელსაც აქვს 20 წლიანი გამოცდილება უგზოობაზე მაღალი გამავლობის ავტომობილით სიარულში და არაერთი ექსტრემალური საავტომობილო შეჯიბრების გამარჯვებულია. გიგა არის როგორც Rally Adventure Georgia-ს თანადამფუძნებელი, ასევე Udabno Rally Raid-ისა და Adventure.ge-ს დამფუძნებელი.

✳ ვერა მურღულია

გამოირჩევა მიზანდასახულობით.
აქვს საერთაშორისო პროექტების ორგანიზების და მენეჯმენტის 20 წლიანი გამოცდილება და ფლობს 5 ენას.
ვერა არის პირველი ქართველი პილოტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო რალიში მაროკოს საჰარას უდაბნოში, და მისი იდეა იყო საერთაშრისო Rally Adventure Georgia-ს დაფუძნება.

RALLY ADVENTURE
GEORGIA

2024

სასპონსორო პაკეტები

4000 ლიტრი ბენზინი
და **4000** ლიტრი დიზელი

• ოქროს პაკეტი ვისოლისთვის

ვისოლის ლოგოს ხილვადობა რალის ოფიციალურ ქურთუკებზე, რალის საკონტროლო პუნქტების დროშებზე, ყველა ავტომობილის საქარე მინის ზედა ნაწილზე და უკანა შუშის ზედა კუთხეში. ვისოლის მოხსენიება პრიორიტეტულად პრესაში რალის შესახებ სტატიებში. მედია პაკეტი პროფესიონალური ფოტო და ვიდეო მასალით.
+ ყველაფერი რაც შედის ვერცხლისა და ბრინჯაოს პაკეტებში.

2000 ლიტრი ბენზინი
და **2000** ლიტრი დიზელი

• ვერცხლის პაკეტი ვისოლისთვის

ვისოლის ლოგოს ხილვადობა მონაწილეთა უსაფრთხოების ჩაფხუტებზე, ყველა ავტომობილის კაპოტზე, რალის ვიდეო რგოლებში, ღონისძიების ვებ გვერდზე. სპონსორის მოხსენიება ადგილობრივ მედიაში რალის გაშუქებისას. უფლება, სტარტზე და ფინიშზე აღმართოს დროშები და გასაბერი თაღი ვისოლის ლოგოს გამოსახულებით.
+ ყველაფერი რაც შედის ბრინჯაოს პაკეტში.

1000 ლიტრი
ბენზინი ან დიზელი
ან პროცენტული
ფასდაკლება
შეძენილ საწვზე

• ბრინჯაოს პაკეტი ვისოლისთვის

ვისოლის ლოგოს ხილვადობა : ყველა მონაწილის ავტომობილის ორივე წინა კარზე, რალის ბანერებზე, გავრცელებულ დოკუმეტაციაზე, ფოტო მასალაში, ღონისძიების სოც. ქსელების გვერდებზე. უფლება, პირველი ეტაპის სტარტზე რალის მონაწილეებს დაურიგდეს ვისოლის ბრენდირებული კეპები ბრელოკები და/ან საწერი კალმები. მოწვევა ღონისძიების დახურვის გალა ბანკეტზე კომპანიის წარმომადგენელი 2 ადამიანისთვის.

2024

მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო და განიხილეთ ჩვენი შეთავაზება. მეტად მადლობელი ვიქნებით, თუკი დაგვთანხმდებით სპონსორობაზე და წვლილს შეიტანთ საქართველოში რალი რეიდის განვითარებაში!

მოუთმენლად ველით თქვენთან თანამშრომლობის შესაძლებლობას!

არა-კომერციული იურიდიული პირი
სათავგადასავლო რალი
RALLY ADVENTURE

საქართველოში
რეგისტრაციის ნომერი : 405349500

+995 555 577 544

info@rallyadventuregeorgia.com

https://www.facebook.com/rallyadventuregeorgia

ქ. თბილისი, ა.ცაგარელის ქ., N 41

www.rallyadventuregeorgia.com

https://www.instagram.com/rallyadventure_georgia/